# „კამელინი“ პროსტატიტებისა და ადენომების სამკურნალოდ

**პრეპარატმა „კამელინმა“ მრავალი ექსპერიმენტულ-კლინიკური კვლევების საფუძველზე საქართველოსა და საზღვარგარეთის სამედიცინო ცენტრებში (მონრეალის ლედი დევისის კლინიკაში, კვებეკის, ილიონისის და ბერნის უნივერსიტეტებში, კანადის, აშშ-ის სამეცნიერო ცენტრებში და სხვა) დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. „კამელინი“ გამოირჩევა უნივერსალური მოქმედების მექანიზმით ონკოლოგიურ, ვირუსულ, გინეკოლოგიურ და სხვა დაავადებებთან მიმართებაში. უკანასკნელ წლებში აქტიურად მიმდინარეობდა პრეპარატ „კამელინზე“ კლინიკური კვლევები (ბათუმის სამშობიარო სახლი, „იმედის“ კლინიკა, დამწვრობის ცენტრი, ბალნეოლოგიური ცენტრი და სხვა), რის შედეგადაც პრეპარატმა შეიძინა ახალი მიმართულებები მედიცინაში და გამოავლინა ფართო გამოყენების ჩვენებები. ბალნეოლოგიური კურორტის, საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის ს/პ ცენტრში „კამელინზე“ ჩატარდა კვლევები ოსტეოართრიტებზე, ხერხემლის ოსტეოქონდროზსა და უროლოგიურ დაავადებებზე. ბალნეოლოგიური ცენტრის უროლოგის, ზაზა ბაინდურიშვილისგან შევიტყობთ პრეპარატ „კამელინზე“ ჩატარებული კლინიკური კვლევების შედეგებს, ქრონიკული ბაქტერიული პროსტატიტისა და ქრონიკული ურეთრიტის დროს.**

**— ბატონო ზაზა, გვიამბეთ კვლევების შესახებ და იმ ჩვენებებზე, რომელიც გამოვლენილ იქნა „კამელინით“ მკურნალობის შემდეგ.**

— მოგეხსენებათ, ჩვენი კლინიკა ერთადერთია ამიერკავკასიაში, სადაც ზოგადად სამკურნალო პროცესი, მათ შორის — წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატიტები, პროსტატის ადენომა, ერექტილური ფუნქციის დაქვეითება და სხვა უროლოგიური დაავადებები) მკურნალობა ხორციელდება როგორც თანამედროვე მედიკამენტოზური სქემებით, აგრეთვე ისეთი უნიკალური ბუნებრივი საკურორტო და პრეფორმირებული ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით, როგორებიცაა ტალახის რექტალური ტამპონებისა და აპლიკაციების, სხვადასხვა სახის წყლის ჭავლით, ლაზერით, კომბინირებული დასხივების აპარატების გამოყენებით. სწორედ ამიტომ გადაწყდა „კამელინის“, როგორც ბუნებრივი იმუნომოდულატორის, ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიციდული საშუალების ჩართვა მონოთერაპიის სახით, მკურნალობაში. კვლევაში მონაწილეობდნენ მამაკაცები 31-დან 66 წლამდე, რომლებსაც ჰქონდათ ქრონიკული ბაქტერიული პროსტატიტი, თანდართული ცისტიტით და ურეთრიტით, რამდენიმე პაციენტს კი პროსტატის ადენომა — 1-2 ხარისხის.

პაციენტები შემოსვლისას ისინჯებოდნენ, ხდებოდა მათი სუბიექტური და ობიექტური მონაცემების შეგროვება. პათოლოგიის აღმოჩენის შემთხვევაში იწყებოდა მათი ლაბორატორიული (შარდის საერთო ანალიზი, პროსტატის წვენის ბაქტეროსკოპია და ბაქტერიოლოგია) და ინსტრუმენტული (შარდის ბუშტისა და წინამდებარე ჯირკვლის ექოსკოპია, რექტალური გასინჯვა) კვლევა.

**— ბატონო ზაზა, აქვე აღვნიშნოთ, რა სიმპტომებს უჩიოდნენ პაციენტები?**

— პაციენტებს აღენიშნებოდათ ტკივილი და უსიამოვნო შეგრძნება შორისის არეში, გახშირებული შარდვა, წვა შარდვის დროს, პოტენციის დაქვეითება, ნაადრევი ეაკულაცია.

**— გავაგრძელოთ კვლევებზე საუბარი...**

— დიაგნოსტიკური კვლევებით დადგინდა დიაგნოზი და მკურნალობა დავიწყეთ: „კამელინი 1“-ის ინიექცია დილით, ღამით ძილის წინ „კამელინი 4“-ის სანთლები რექტალურად, მკურნალობის ხანგრძლივობა მოიცავდა 20 დღეს. მკურნალობა მიმდინარეობდა როგორც მონოთერაპიულად, ასევე კომპლექსურად ანტიპროტოზული და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით. ჩატარებული მკურნალობის შედეგად, პაციენტების მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა პროსტატის სეკრეტში ლეიკოციტოზის სარწმუნო შემცირებითა და პროსტატის მასის შემცირების სარწმუნო დინამიკით, აგრეთვე პროსტატის ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებით. მინდა, განსაკუთრებით გამოვყო კვლევაში მონაწილე 2 პაციენტის მდგომარეობა პროსტატის ადენომისა და წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნისა და ქრონიკული ტრიქომონადური პროსტატიტის შემთხვევაში, თუ როგორ გამოიხატა „კამელინის“ მოქმედების მექანიზმი ასეთ მოკლე დროში (20 დღე). ეს ის შედეგებია, რომლებიც ჩემს პრაქტიკაში არ მიღწეულა არცერთი თერაპიული მკურნალობის შედეგად. რა თქმა უნდა, ადენომების შემთხვევაში კლინიკური კვლევები უფრო უნდა გაღრმავდეს ანუ უფრო მეტ შესწავლას საჭიროებს.

**პაციენტი ქ.დ, (49 წლის):**

**დიაგნოზი: ქრონიკული ტრიქომონადური პროსტატიტიტი. პროსტატის მოცულობა — 64,3 სმ3, ქსოვილი სისქეში — პერიფერიულ ზომებში ისახებოდა არასწორკონტურიანი შერეული ექოგენობისა და ექოსტრუქტურის მოცულობით წარმონაქმნები, დიამეტრით 22, 21, 18 მმ. ნარჩენი შარდი — 40 მლ. „კამელინით“ მკურნალობის 1 კურსის შემდეგ ულტრაბგერითი კვლევებით დაფიქსირდა: პროსტატის მოცულობა — 36 სმ3, პროსტატის პერიფერიული ნაწილი კეროვანი ცვლილებების გარეშე, ანალიზი (ლეიკოციტოზი — 30-35-დან შემცირდა 10-15-მდე).**

**პაციენტი დ.ვ, (57 წლის):**

**დიაგნოზი: პროსტატის ადენომა. პროსტატის მოცულობა — 80,4 სმ3, შ (პროსტატის სპეციფიური ანტიგენი) — 8,0. „კამელინით“ მონოთერაპიული მკურნალობის ერთი კურსის შემდეგ პროსტატის მოცულობა — 49,9 სმ3, შ 6-მდე შემცირდა.**

**— ბატონო ზაზა, გაგვაცანით ბალნეოლოგიური კურორტის საბოლოო დასკვნა ამ კვლევების საფუძველზე.**

— აღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრეპარატი „კამელინ1“ ინიექცია და „კამელინ4“ სანთლები შეიძლება გამოყენებულ იქნას მონო და კომპლექსური თერაპიის სახით, ქრონიკული პროსტატიტებისა და ქრონიკული ურეთრიტების, ასევე ადენომების დროს. მაღალი თერაპიული ეფექტის საფუძველზე „კამელინი“ შეიძლება უფრო ფართოდ დაინერგოს უროლოგიაში. ამ კვლევებიდან „კამელინმა“ გამოყენების ჩვენებების თვალსაზრისით შეიძინა კიდევ ერთი მიმართულება უროლოგიაში.

*

**ე. მინდიაშვილს (68 წლის), 6 წლის წინ ონკოლოგიურში დაუსვეს მარჯვენა ყურში სწრაფი სარკომის დიაგნოზი. სხივურმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო. დაიწყო „კამელინ მ 1“-ის (ინექციის) გამოყენება, მე-3 დღიდან სითხის მოდინებამ ყურიდან შემცირება დაიწყო, მე-2 კურსის დაწყებიდან კი საერთოდ შეწყდა, 3 კურსის შემდეგ კი (ტყემლისოდენა) სიმაგრეც მთლიანად ალაგდა. დღეს პაციენტი არაფერს უჩივის, მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით, წელიწდში ერთხელ იტარებს „კამელინით“ მკურნალობის კურსს, არის შრომისუნარიანი, სრულიად ჯანმრთელი.**

**პ.კ. საჩხერე. დიაგნოზი: ქრონიკული პროსტატიტი. ჩაიტარა ანტიბაქტერიული თერაპიის, ფიტოთერაპიისა და ფიზიოთერაპიის კურსი, მაგრამ შედეგები მხოლოდ დროებითი აღმოჩნდა. პაციენტმა ექიმის რჩევით გადაწყვიტა „კამელინის“ ინიექციითა და სანთლებით მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 2 კურსი. ულტრაბგერითი კვლევების საფუძველზე პაციენტს დაუფიქსირდა პროსტატის მოცულობის შემცირება და ლეიკოციტოზის ნორმალიზაცია. მესამე წელია, მდგომარეობა სტაბილურია, ცვლილებების გარეშე.**

**ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ1“ — ინექცია, „კამელინ მ2“ — კაფსულა, „კამელინ მ3“ — მალამო, „კამელინ მ4“ — სანთლები და „კამელინფლუ“ სპრეი გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, უროლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.**

*მოამზადა მაია ცომაიამ* R

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08; 599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33;
www. Camelyn.ge
ფოსტა: info@camelyn.ge